წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2025 წლის 31 იანვარი

ქ. წალკა

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო ***ა დ გ ე ნ ს:***

მუხლი 1

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №13 (www.matsne.gov.ge, 28.12.2024, 010260020.35.155.016440) დადგენილებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“;

ბ) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.“

გ) დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

წალკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი გიგინეიშვილი**

დანართი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, აპარატის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	პოლიტიკური თანამდებობის პირები	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5986

2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	4526
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3942
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	3212
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე		2920
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		2336

საკრებულოს აპარატი

№	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და რანგი	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	3358
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	2628
3	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
4	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
5	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1752
6	საორგანიზაციო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1606
7	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი)	1	2628
8	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1898
9	სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1606